ოქმი:**ო12. 3723040001**

თარიღი:**09/02/2023**

ოქმი №3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 7 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ხ. თავდიშვილი, მ. ვაშალომიძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლ. სიჭინავა

2.2022 წელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი
თანამომხსენებელი: მ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. სიჭინავამ, კომისიის წევრებმა მოიწონეს პროექტი და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

თანამომხსენებელმა მ. ჭყონიამ კონკრეტულად ისაუბრა 2022 წელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნა, რომ 44 საბავშვო ბაღში გასულ წელს ირიცხებოდა 2700 აღსაზრდელი, მიმდინარე

წელს ეს რიცხვი შემცირდა 400 ერთეულით. პრობლემატურია ბავშვთა გამოცხადება, ბავშვთა კვება 4,2 ლარს შეადგენს, ისაუბრა სხვა ხარჯებზეც, შრომის ანაზღაურების ზრდაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სხვა 7 მუნიციპალიტეტთან ერთად არჩეული იქნა საპილოტედ. ინერგება სწავლა-აღზრდის ახალი, თანამედროვე მეთოდები და სხვა. 21 ბაღში აღრიცხულია შ.შ.მ. აღსაზრდელები. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს გაწეული მუშაობა და მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. 2022 წელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი